სსიპ - სამცხე-ჯავახეთის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

17/06/2025

MES 4 25 0000686002

წარმომადგენლობითი საბჭოს
დადგენილება

„სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრუქტურის დამტკიცებისა და საშტატო განრიგის და სახელფასო ფონდის განსაზღვრის შესახებ“ წარმომადგენლობითი საბჭოს 2025 წლის 25 თებერვლის # MES 2 25 0000204059 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე–ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის N52/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 10 დეკემბრის N44 დადგენილებით დამტკიცებული წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის მე-4 მუხლის „ე“ ქვეპუნქტისა და წარმომადგენლობითი საბჭოს 2025 წლის 17 ივნისის #4 ოქმის გათვალისწინებით, წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრუქტურის დამტკიცებისა და საშტატო განრიგის და სახელფასო ფონდის განსაზღვრის შესახებ“ წარმომადგენლობითი საბჭოს 2025 წლის 25 თებერვლის # MES 2 25 0000204059 დადგენილებაში და აღნიშნული დადგენილების:
ა) პირველი პუნქტით დამტკიცებული სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრუქტურა ჩამოყალიბდეს ამ დადგენილების დანართი 1-ის შესაბამისად;
ბ) მე-2 პუნქტით დამტკიცებული სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საშტატო განრიგი და სახელფასო ფონდი ჩამოყალიბდეს ამ დადგენილების დანართი 2-ის შესაბამისად.
2. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. დადგენილება გაეგზავნოს სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურულ ერთეულს და განთავსდეს ვებ- გვერდზე.
4. საფუძველი: სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის შუამდგომლობა.
5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ახალციხე, კ. მებაღიშვილის ქ. N60ა.

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი
მამაიაშვილი ჯემალი